

# დროშა

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 90.

კვირა, 25 აპრილი 1910 წ.

დამატების № 17

### მ ს ხ ვ მ რ კ ლ ი

ღრამა 8 მოქმედებად, სოფლის ცხოვრებიდან.

(შემდგომი \*)

#### მოქმედება ქეოღე

**სონა.** რომ ის კაცი უღანაშაულო იყოს?

**ბოქ.** რასა ბძანებთ... კაცი თითონ გამოტყდა და...

**სონა.** ახლა რა ვქნათ...

იქნებ განგებ დაიბრალო, სოფელი უნდა დაეხსნა...

**ბოქ.** ჰმ! თქვენც მაგასა ბძანებთ... რა ვქნა, ყველა მაგას გაიძახის... ბატრო, და განა შესაძლებელია რომ კაცმა განგებ, ტყუილად კაცის კვლა დაიბრალოს? მე არასოდეს მაგას ვერ დავიჯერებ... ჰო, კიდევ მესმის, შეიძლება კაცმა თავი დასდოს სამსახურისთვის, სიცოცხლე შესწიროს ან საზოგადოებას ან სამშობლოს... მაგრამ განგებ მაგნაირი საქმის თავის დაბრალება... არა, შეუძლებელია... თქვენ ვერ იცნობთ კარგათ ამ ხალხს... ერთი თუმნისთვის კი არა, ერთი შაურისთვისაც კი არ დაინდობენ კაცს. განა შესაძლებელია, რომ კაცმა შეიბრალოს მაგისთანა ნადირი? ჰო, ვთქვით განგებ დაიბრალო, თოფი რაღა იყო? თოფი საიდანღა ჩაუვარდა ხელში?

**სონა.** იქნება თოფი ვინმემ განგებ დამალა იმის საბედელში...

**ბოქ.** ჰე, ვერაფერი ადგო-კატი ბძანდებით... სხვამ

თოფი დამალა, და იმან კი თითონ გვიჩვენა, წადითო, თოფიც და პატრონებიც ამა და ამ ადგილას დავმალეო... წარმოადგინეთ ფულზედაც კი გამოტყდა, შემომხეარჯაო...

**სონა.** აბა, თქვენ ხომ ყველაფერში დამაჯერებთ...

**ბოქ.** მარტო ერთში ვერ დამიჯერებია... რავენა გეფიცებით...

**სონა.** მჯერა, მჯერა... ოღონდ ზოგჯერ ეჭვი მებადება... ისე იშვიათად და ისიც ცოტა ხნით გხედავთ ხოლმე, აბა რამდენი ხანია, რომ ჩვენსა არა ყოფილხართ...

**ბოქ.** მაშ ხშირად გსურათ ჩემი ნახვა?

**სონა.** ეგ ხომ თქვენც კარგათ იცით...

**ბოქ.** ოხ, რა ბედნიერი ვარ... (ჭკოტნის სეჯზე).

**სონა.** რას შერებით დაგინახავენ!

**ბოქ.** მერე, დასამალი რა გვაქვს... თქვენ ხომ ჩემი ხარ და მე თქვენი... რას დალონდით უეცრათ... ნუ თუ გაწყენინეთ რამე?..

**სონა.** არა, ისევე ის უბედური მომავონდა... ნუ თუ მატყუებდა!

**ბოქ.** ვინ?

**სონა.** არა, ისე... ლაპარაკობდნენ... ტყუილად იკარგებაო?


**ბოქ.** ჰო-ო, მაშ თქვენც გარწმუნებდნენ, განა? აბა რასაკვირველია: იმ კაცს ამხანაგებიცა ჰყავს, მახლობლებიც, და გამოესარჩლებიან, რა თქმა უნდა.

**სონა.** მაინც კი მეცოდება ის საწყალი...

**ბოქ.** ის საცოდავი სტრაჟნიკი კი არ გეცოდებათ, რომელსაც მაგან მძინარეს ყელი გამოსჭრა? რას უშავებდა საწყალი: მიდიოდა თავისთვის, სამსახურის საქმეზე... არას მოელოდა... სიცხე პაპანაქებაში დაიღალა, ჩამოვიდა ცხენიდან, წამოწვა წყაროსთან, ჩასთვლიმა, დაეძინა და კი აღარ გაიღვიძა... თქვენ ეს არ გეცოდებათ და ის გვე-

ლი-კი, რომელიც მიცოცდა იმასთან და ვერაგულათ, სიცოცხლეს გამოასალმა, შეკბრალდათ... აბა ახლა იფიქრეთ, იმ სტრაჟნიკს ცოლი და ორი პაწაწა შვილი ჰყავს, და მიბძანეთ, რა სასჯელი ეკუთვნის იმ საზარელ მკვლელს... აბა თქვენ მშვენიერს თვალებს ცრემლებიც კი მოუვიდა.

**სონა.** ოხ, საშინელებაა ყველა ეგ...



ქ ე ო ღ ე

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 16.



**ბოქ.** კარგი, ჩემო კარგო... გვეყოფა მაგაზე ლაპარაკი... ტყუილად გულს ნუ შეიწუხებთ...

**ელენე.** (მიახლოვდება მათ) ქალბატონო! სტოლი მზათ გახლავთ, სადილიც...

**ბოქ.** (სონას) მაშ წადით, ერთათ მოვიწვიოთ სტუმრები... როდის იქნება, რომ ჩვენ, მე და თქვენ, ჩვენ სახლში ვიწვევდეთ სტუმრებს?..

**სონა.** ეგ თქვენზეა დამოკიდებული (მიდიან ქვევით კარებში):

**თედო.** (ელენეს) დანიშნულები არიან არა?

**ელენე.** არა ჯერ, იმ თვეში იქნება ნიშნობა...

**თედო.** ლამაზი პატარძალი კი იქნება...

**ელენე.** შენმა სიცოცხლემ, შენ ხო ბევრი გესმის სილამაზისა...

**თედო.** რატომაცაო, მაშ არა და შენსავით ფეთხუმიცა აი...

**ელენე.** დიახ, დიახ, ზოგი სხვებსაცა ჰკითხე...

**თედო.** რა სხვებსა, მე თითონ ვერა გხედამ რაცა ხარ...

**ელენე.** გასწი, დაიკარგე... წადი სუფი მოიტანე, მობძანდებიან.

**თედო.** კარგი, ნუ ჯავრობ... შენც ლამაზი ხარ აი, მედა ჩემა ღმერთმა... რომ გითხოვო არ შემირთამ?..

**ელენე.** აფსუს ელენე, შენისთანა ტილიან გლენისთვის რო სცალოდეს...

**თედო.** მაშ არა და ჩინონიკი შეგიერთამს აი...

**ელენე.** გასწი მეთქი, ბიჭო, სუფი მოიტანე, არ გესმის მოდიან...

**თედო.** ჰო, მივდივარ რაღა აბა-იმე... (მიდის სამზარეულოში. ქვევით კარებიდან გამოდის ბარბაქე, ექიმი, თავ. ნიკო, სოფლომანი, ბოქაუდი, სონა, სტუმრები მათ შორის რამდენიმე ახალგაზრდა ახალგაზრდა).

**ბარბ.** მობძანდით, ბატონო, მობძანდით!.. მოგამშვიეთ, ცოტა დაგვიგვიანდა სადილი...

**ექიმი.** ოხ, კნენა, ამ მშვენიერ ალაგას, კაკლის ქვეშ... მე კი რომ მკითხოთ, სჯობდა პირდაპირ მწვანე ბალახზე გაგვეშალა სუფრა... ეგრე ქართულათ...

**ბარბ.** ცოტა ნოტიო გახლავთ... გაცივდებოდით...

**ექიმი.** ეგეც კი მართალია... მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ამ მშვენიერ ჰაერზე არც ერთს ბაცილას ძალა არ ექნება... (სხდებიან: ბოქაუდი სონას გვერდზე, თავში ბარბაქე, სოფლოში თავადი ნიკო, ელენე და ბიჭები ფეხზე ემსახურებიან. მიდიან სამზარეულოში და მთავრად სწამებენ).

**სოლ.** ეს ბაცილები რაღა ეშმაკია, ბატონო ექიმო? ფეხი ავტკივთ—ბაცილაო, თავი ავტკივთ—ბაცილაო, ერთი მიბძანე, რა ეშმაკია ეს ბაცილა? იქნება ეს ჩვენი ერთობაც ბაცილის ბრალია... ჰა, ჰა, ჰა!..

**ბოქ.** აკი ჩვენც კარბოლკას და სულეიმას ვახსავთ... ჰა, ჰა, ჰა!

**ნიკო.** რის ბაცილა, რის ისაო! ერთი კარგი კახური ჩააჩუხჩუხეთ, ვერც ბაცილა დაგაკლებთ რასმე და ვერც არაფერი (მარცხნივ გამოჩნდება საქო, სეჯში უჭირავს ჰატარა სონ-

ნა თევზით და მწვანელით მორთული, უკან მოსდევს ჰატარა საქო, თავზე ჰატარა ტივი უდევს. შეჯვენ ბადის ჰატარა კარბიდან, საქო მართმევეს ნიკოს სონას).

**ნიკო.** ო—ო, საქოს გაუმარჯოს!.. ძღვენიც ასეთი უნდა, აი, გიშველა ღმერთმა... აბა, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, რა მურწა არის...

**სოლ.** აბა ერთი საქოს ღვინო გადააწოდეთ... (ბოქაუდი მიაწვდის ჭიქით ღვინოს).

**საქო.** კნიაზები აღდგებდნენ ღმერთმა... კნიაზ ნიკოს გაუმარჯოს, ოჯახობა გიცოცხლოს, კეთილათ გამყოფოს... კნენა, თქვენც გადღეგდებოდით... ბატონო პრისტავო, ღმერთმა შენი ღერენლობა მაჩვენოს... საერთოთ კამპანიას გაუმარჯოს... (დადევს. ისმის ხმები „გაუმარჯოს“).

**ბოქ.** აბა, სარქისჯან, ერთიც კიდევ... (მიაწვდის)

**საქო.** ოხ, კნიაზჯან, მეტი იქნება... დავითერები...

**სონა.** ჩემი სადღეგდებო რომ არ დაგიღვეია...

**სოლ.** აბა შენ იცი, საქო, ერთი კაი ტოსტი... ერთი შენებური რეჩი...

**საქო.** ეს ღმერთმა აღდგებდნენ ჩვენი კნიაზა ქალი... შენ ქორწილში ერთი ისეთი ბაღდადური, ჩვენებური ავლაბრული ვითამაშო რომ... გადღეგდებოდით კნიაზებო... აბა რეჩი სთქვიო, და მოგახსენებო... ღმერთმა ის კაცი აღდგებდნენ, რომელსაც მაგარი გული აქვს... უფლის მადლმა, ჩვენო კნიაზებო, თქვენ რომ არა ბძანდებოდეთ, საწყალი ვაჭრები სულ მთლათ დაიღუპებოდნენ ამისთანა დროში... ქვეყანა დაცა, ფული აღარ არი, ვაჭრობაშიაც აღარა ყრიარა... ისევ თქვენი სულის ჭირიმე, თქვენა გვშველით... ღმერთის მადლმა, მერო კნიაზების ღმერთი და ქეიფი მინახავს... აბა ამას სად ვნახამ... დალოცვილები არიან, მამაჩემს აქვს ცხონება... გინდა გარშემო ქვეყანა გადაბრუნდეს,



**ბიარნსტარნ-ბიარნსონი,** ნორვეგიელი შესანიშნავი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 13 აპრილს (იხ. „დროება“ № 86).

კნიაზი სუფრას, თელეთის მადლმა, არ უღალატებს... ვენაცვალე იმათ კუქს... ეს რომ ასე არა ყოფილიყოს, ჩვენ ამ დროში ხომ სულ დავიღუპებოდით... გადღეგდებოდით ღმერთმა ჩემო კნიაზებო!.. (სვამს).

**სოლ.** ყოჩაღ საქო, გაგმარჯოს... აბა ვიცოდი, რომ შენ კარგს რასმე იტყობდი... მართალია, ჩემო საქო, სუფრა და პურმარული... ეს ჩვენი საქართველოს ხვედრია... და მეტად კარგიც რამ არის...

**ბარბ.** მადლობთ, მადლობთ, საქო! მიბძანდით მანდ სამზარეულოში, ისადილე...

**საქო.** იცოცხლე, კნენაჯან... დუქანი მარტო დამრჩა... გიახლებით, შენი ჭირიმე... მადლობელი გახლავარ... (თავს უკრავს და მიდის ბადიდან, შაქრო ტავს მიაწვდის ბაჭს და ისიც გაქვევს) მახლას! ვერა ხედამ ამ კოტრ კნიაზებს: „სამზარეულოში მიბძანდიო!“ ვა, შენი სადალი გამკვირებია?! არა, მამა გიცხონდა, სტოლთან კი არ მეკადრებოდა აი! აფსუს საქო! არა, მინას პეტროვიჩი, შენი ამხანაგი აი, კაცი სულ ფულითა ყარს, მედაჩემმა ღმერთმა, იმდენი უყარია, იმასთანა ვსადილობ და შენ კი სამზარეულოში მებატყები... ჰეი გიდი, მაგათ ნისიებისთვის მე დავთარა არა



მყოფნის, ეგენი სამხარეულოში მიწვევენ... დღევანდელ დღეს ლუკმა ჩამივა პირში?! მე რომ ის საცოდობა ვნახე, ვაი, ვაი... სამი დღე რომ პური არა ვკამო, არ მომშივა, უფლის მადლმა... (გაჯა).

**ბარბ.** მიირთვით, თქვენი ჰირიმეთ, მიირთვით! (ეჭიმს) თქვენ არას მიირთმევთ, სრულებით მშიერი დარჩებით...

**ეჭიმი.** რასა ბძანებთ, ბატონო... მე მგონი არას ვიკლემ...

**ნიკო.** აბა ბატონებო, როგორც წესი და რიგია, გთხოვთ, აირჩიოთ თამადა...

**ბოქ.** თავად სოლომონ, მოკალოცავთ თამადობას!

**ნიკო.** სოლომონ, სოლომონ იცოცხლეთ, აბა ერთი შენებურათ გამხიარულდით და ჩვენც გაგვამხიარულეთ! (უგუჯანა უჯგუჯან სოლომონს: „მოგვიღობავს, მოგვიღობავს“).

**სოლ.** არა, თქვენი ჰირიმეთ, მე სად შემიძლიან... აბა, ვინ მე და ვინ თამადა...

**ეჭიმი.** კარგი, კარგი, გიცნობთ, რაცა ბძანდები... რაკი საზოგადოებამ ერთ ხმათ ამოგირჩია, უნდა დასთანხმდე... გთხოვთ, გთხოვთ! (უგუჯანა: „გთხოვთ, გთხოვთ“).

**ბოქ.** Рѣшено и подписано...

**სოლ.** აბა რაღა მეთქმის... გმადლობთ, გმადლობთ... ეს კი იცოდეთ, ბატონებო, მე თვითმცრობელობის მომხრე ვარ და გთხოვთ, ჩემი მოთხოვნებიანი დაუყონებლივ ასრულოთ... გთხოვთ, გაავსოთ ჰიქები! (ასჯგაზდა ასჯგაზებს) ყმაწვილებო, თქვენთვის დამივალეზია თვალყური ადევნოთ თქვენ მეზობლებს... ისე კი არა, როგორც ჩვენი პოლიცია ადევნებს... (ბაქაუსს) ოხ, უკაცრაოთ, თავად ვასო... მაგრამ о присутствующих не говорить... ოხ, უკაცრაოთ, ბატონო ეჭიმი, მაპატიეთ ცოტათი დავასრულე... მაგრამ თამადა არავის წინაშე პასუხს არ აგებს... მაშ აავსეთ ჰიქები... ეს ღმერთმა აღდგედლოს ჩვენი კნენა ბარბარე... ხომ მოგესხენებათ, ოჯახის ბურჯი დიასახლისი განლაგეთ და აბა, რასაკვირველია, თქვენც, ბატონებო, მხარს დამიჭერთ და დასკლით სავსე ჰიქებს... ჯგაუმარჯოს კნენა ბარბარეს!.. ნიკოლოზ, ალავერდი შენთან... დაცლაზეა, ყმაწვილებო, დაცლაზე. (უგუჯანა ბარბარეს სადღეგძელოს სვამენ) აბა, ყმაწვილებო, ერთი კაი ტკბილი მრავალყამიერ (თითხ სოლომონი იწყობს შრავაჯამიერს და სხვებიც მიჭეუვიან. ეჯენე სამხარეულოსკენ მიდის, აქ დრას გამხანდება ხეებს შუა სამხარეულოსთან ნატო. სიმღერა არა სწყდება ნატოს ღანჯანის დრას ეჯენესთან).

**ნატო.** (უქნავს ხელს ეჯენეს, ეჯენე მიუახლოვდება) შენი ჰირიმე, ელენე, ახალგაზრდა ქალბატონმა მიბძანა, სალამოზე მოდიო, პასუხს შეგატყობინებო... შენ გენაცვალე, აბა ხომ იცი, რაც საქმეა... ჰკითხე...

**ელენე.** ე—ე, მგონია, ცუდათ არი იმ საცოდვის საქმე... სონა და ბოქაული ლაპარაკობდნენ, მე ყური მოვკარი... რაღაცას ჯავრობდა ბოქაული, არაო, არაო, არ შეიძლებაო... მოიცა მაინც პატარა ხანს, წავჭურხლებ და პასუხს მოგიტან... (ეჯენე გაბრუნდება, მივა სონასთან და ეჭურ-

ხუჯება, სონა უკმაყოფილოთ რადგანს ეუბნება... მერე წამოდება და მიდის სამხარეულოსკენ).

**სონა.** (მიუახლოვდება ნატოს) ნატო, აბა რაქნა, მე ვერას გაეხდი, თავადი ვასო გამიჯავრდა კიდევ... ეგ ისევ შეუძლებელიაო, როგორც მკვდრის გაცოცხლებო...

**ნატო.** მაშ უდანაშაულო კაცი უნდა დაიღუპოს?!..

**სონა.** შენ სცდები, ნატო... ის კაცი არა ღირს, რომ იმაზე იდარდო... როგორც თავადმა ვასომ მიაშმო, საშინელება რამა ყოფილა... ისეთი რამეები მიაშმო, რომ მე შემეზიზნა კიდევ. შენ დამშვიდდი... ვანუა ნამდვილი მკვლეელია და ღირსიც არის, რომ დაისაჯოს... აბა მე ეხლა არამცალიან (დაბრუნდება ბაქში).

**ნატო.** ახლა რაღა ვქნა... რა წყალში ჩავარდე, რაგავაწყო! მე უბედურს თავბრუ დამესხა... აღარა მესმისრა... საღლა წავიდე... ოხ სიცოცხლე!.. (გაჯა. სიმღერა თავდება).

**სოლ.** (ნიკოლოზს) ჰა, ნიკოლოზ, აბა შენი ჰირიმე მიირთვი ეგ ღვინო... ერთი მადლობელიც შენ უნდა გათქმევიწნო... ძალიან გუნებაზე ვარ მე დღეს აი... (გადაჭკრავს) იფ, იფ, რა ღვინოა... იმ მაშენიკ საქუას, ნეტა სად უშოვნია.. ბატონო ეჭიმი, თქვენი ჰიქა ჯერ სავსეა... აბა, შენი ჰირიმე, მიირთვი, თორემ ბაცილებსა სწყურიათ (ეჭიმი სვამს)... აბა ბატონებო, გთხოვთ აავსოთ თქვენი ჰიქები ღმერთმაც ავივსოთ ჯიბეები... (ასჯგაზებს) ოხ, ყმაწვილებო, მე და თქვენ ჯიბეებზე ცოტა უკაცრავათ განლაგართ, მაგრამ ხომ მოგესხენებათ „ისევ და ისევ ღვინოთა!“ აბა, თქვენ გენაცვალეთ დაისხით, დაისხით... მე როგორც ერთობის მომხრე... ბატონო ბოქაულო, ნუ შემომხედეთ ეგრე გაჯავრებით, სულ ერთია პროტოკოლს ვერ შეადგენთ ახლა... მაშ მე მოვახსენებთ, რომ როგორც ერთობის მომხრე რადგან ერთობამ მთელი ქვეყანა არივ-დარია, ყოველი ჩვეულება უკუ აგდო, უფროს უმცროსობა აღარ არის, მეც ძველ კანონებს აღარ მივდევ... ამიტომ ნება მიბოძეთ, სადღეგძელოებს ისე მივყვე, როგორც საქიროთა ვხედავდე... აბა, ყმაწვილებო, ჰიქები, ჰიქები... ბატონო ბოქაულო, მოგმართავთ თქვენ. დღეს, როგორ გამარჯვებულ კაცს, თქვენ გეკუთვნით პირველი ჩემი სადღეგძელო... მე კნენას არა ვთვლი, როგორც დედა და დიასახლისი ის საერთო რიგში არ ითვლება. მამასახლისს-კი უკაცრაოდ, უპირატესობას ვერ მივართმევ, ვინაიდან ამ დროში მამასახლისებიც საერთოთ ერთობისკენ იწყვენ, და როგორც ნამდვილი დემოკრატები საერთო რიგში უნდა ჩადგნენ... აბა ბატონებო, თავად ვასოს სადღეგძელოა... გაუმარჯოს... პოლიციას! რა თქმა უნდა, ძალიან იბრძვიან. კარგათ გვივლიან, მაგრამ ეს, ეს ნალოვებში კი... ოხ უკაცრავათ ბანო ეჭიმი, კიდევ დავირუსულე... ხარჯებში კი, ხარჯებში, ცოტა უკანასკნელ დროში მეტის მეტი იერიში მოგვატანეს და ღაღები კია, ფიუ-უ! საღლაც ჰფრენამენ... ღმერთმა გაცოცხლოთ, ბატონო ბოქაულო, თავად ვასო! ღმერთსა ვთხოვ, ის პატარ-პატარა წითელი ზიზილათა მალე დაგიშვენოს ეგ მამაცი გული... კნიაქნა სონა ალავერდი თქვენთან... იცოცხლეთ თავადო ვასო, ღმერთმა კიდევ ბლო-



კოპი იოსებ დავითაშვილი.

წელს სამოცი წელიწადი შესრულდა, რაც განსვენებული „მუშა პოეტი“ იოსებ დავითაშვილი დაიბადა (დაიბადა 1850 წელს, გარდაიცვალა 1887 წელს).

ბის მომხრე რადგან ერთობამ მთელი ქვეყანა არივ-დარია, ყოველი ჩვეულება უკუ აგდო, უფროს უმცროსობა აღარ არის, მეც ძველ კანონებს აღარ მივდევ... ამიტომ ნება მიბოძეთ, სადღეგძელოებს ისე მივყვე, როგორც საქიროთა ვხედავდე... აბა, ყმაწვილებო, ჰიქები, ჰიქები... ბატონო ბოქაულო, მოგმართავთ თქვენ. დღეს, როგორ გამარჯვებულ კაცს, თქვენ გეკუთვნით პირველი ჩემი სადღეგძელო... მე კნენას არა ვთვლი, როგორც დედა და დიასახლისი ის საერთო რიგში არ ითვლება. მამასახლისს-კი უკაცრაოდ, უპირატესობას ვერ მივართმევ, ვინაიდან ამ დროში მამასახლისებიც საერთოთ ერთობისკენ იწყვენ, და როგორც ნამდვილი დემოკრატები საერთო რიგში უნდა ჩადგნენ... აბა ბატონებო, თავად ვასოს სადღეგძელოა... გაუმარჯოს... პოლიციას! რა თქმა უნდა, ძალიან იბრძვიან. კარგათ გვივლიან, მაგრამ ეს, ეს ნალოვებში კი... ოხ უკაცრავათ ბანო ეჭიმი, კიდევ დავირუსულე... ხარჯებში კი, ხარჯებში, ცოტა უკანასკნელ დროში მეტის მეტი იერიში მოგვატანეს და ღაღები კია, ფიუ-უ! საღლაც ჰფრენამენ... ღმერთმა გაცოცხლოთ, ბატონო ბოქაულო, თავად ვასო! ღმერთსა ვთხოვ, ის პატარ-პატარა წითელი ზიზილათა მალე დაგიშვენოს ეგ მამაცი გული... კნიაქნა სონა ალავერდი თქვენთან... იცოცხლეთ თავადო ვასო, ღმერთმა კიდევ ბლო-



მათ დაგაქვრინოს ისეთი ბობოლა, როგორც დღეს ჩაგივარდათ ხელში. კაი მამალი დაიქირეთ აი! (სჯამს) გაუმარჯოს თავად ვასოს... ესე მტერი დაგეცალოს... ურა! (ეგუჯახანი უჩას იძახიან) უკაცრავად ბატონო ექიმო, ვაშა, ვაშა!.. (ეგუჯახანი უჯოჯახენ ბოქაუჯს).

**ბარბ.** თავადო ვასო, ღმერთმა გაცოცხლოს, გაგაბედნიეროს... მე კი უფალსა ვთხოვ, ავადღინოს იმ ნაირ საქმეებს, როგორც დღეს მოხდა... (ექიმს) წარმოიდგინეთ, ისე ამიშალა ნერვები ღღევანდელმა აშბავმა, რომ მომავლანდა იმ უბედურის მოხუცი დედა... ისე შევსწუხდი, რომ ვერ წარმოიდგენთ...

**ექიმი.** მე ვერ გამოვიდა, ბატონო, ნუ თუ შეიძლება, რომ კაცი იქნობამდის მივიდეს... აბა ხომ თქვენცა ბძანებდით და სხვებიც აშბობენ, რომ ის კაცი ისეთი არ იყოვო, მართალია, დიდი მომხრე იყოვო ამ ახალ მოძრაობისა, მაგრამ მეტად პატიოსანი, ჩუმი და მომუშავე გლეხი იყოვო... და ვერ წარმომიდგენია, რამ აიძულა ის კაცი, რომ ასეთი საზარელი საქმე ჩეედინა... მეტადრე, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი ქართველი გლეხი ისეთი ჩვილი გულისაა, რომ დიდი რამ მიხეზი უნდა იყოს, იგი კაცის მკვლელი გახდეს... ჩხუბში და დავიდარაბაში, კიდევ ჰო... მაგრამ ეგრე, მაგვარი ველურობის გამოჩენა...

**ბოქ.** ბატონო ექიმო, თქვენ როგორც დიდ პატრიოტს, რასაკვირველია, ყოველთვის მხარი გიჭირავთ ქართველ გლეხებისა... მაგრამ ახლო კი არ იცნობთ იმათ... აი მე მუდამ მათში ვტრიალებ, კარგათ შევეისწავლე მათი ხასიათი და გარწმუნებთ, რომ საუკეთესო მათში მაინც მაშენიკი და რაზბონიკია... ამ ერთობამ ხომ სრულებით გადარია... აბა ერთი მიბძანეთ, ჯერ მეც კი არ ვიცი, რა არის მარქსიზმი და რაღაც სოციალიზმი და აბა ჩვენმა ტეტია გლეხმა რაღა უნდა გაიგოს?! ლოთობა, ცარცვა-გლეჯა, ავაზაკობა და ქურდობა... აი მაგათი ერთობა რას წარმოადგენს!

**ექიმი.** არა, საზოგადოთ მე მაგას ვერ ვიტყვი... რასაკვირველია, შიგა და შიგ ურგივან მაგისტანეები... მაგრამ ეგ ყოველის ფერი გაუწათლებლობის და სიბნელის მიხეზია...

**ნიკო.** რა მოგახსენოთ, რა ვიცი წინანდელ დროში არც მარქსი ვიცოდით, არც ერთობა, არც მაგისტანა რამ... მაგრამ მშვენიერათ კი ვცხოვრობდით... გლეხი მუშაობდა, თავ თავის დროზე მებატონეს ყოველის ფერს აბარებდა, ვცხოვრობდით ტკბილათ და არც ეს ყაჩაღობა იყო...

**სოლ.** მოშივედათ, მოშივედათ, ბატონებო... გუჭი არ მისდევს არც სოციალიზმს და არც პოლიტიკას ეგვეც კი უნდა ვთქვათ... მაგრამ რა დროს პოლიტიკაზე ლაპარაკი... ღმერთმა აცხონოს მარქსი, მაგრამ ჩვენ მკვლრებთან რა საქმე გვაქვს! იყო, მორჩა და გათავდა... ამ მშვენიერ კაკლის ძირში, ამ მშვენიერ წითელ ღვინოსთან, რა აღვილი აქვს პოლიტიკას... გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, ყმაწვილებო! მე მსურს ერთი კარგის თქვენთვის მეტად სასიამოვნო, სადღეგძელოს დაღევა... პოეზიამ ისე ამიტაცა ამ მშვენიერ ბუნების წყალობით, რომ მინდოდა მშვენიერების ქება და დიდება დამეწყო, მინდოდა ჩვენი კნიაჟნა სონას სადღეგძელო ხმა მალა დამეძახა, მაგრამ უცბად გულში პროზამ დამკრა... ადამიანის დაბადებიდანვე სიკვდილამდე ძალაუნებურად ბევრჯელ ექიმი, მკურნალია საჭირო გარდა ამისა, სიყვარულის ბაცილა, ნუ სწითლდებით კნიაჟნა, — სიყვარულის ბაცილა იმდენად მძლავრია და ხშირად საშიში, რომ ექიმის ახლო ყოფნა მეტად სასურველია, და ამიტომ საჭიროდ ვცნობ ავილო მალა ჩემი ჰიქა და ბატონ ექიმის სადღეგძელო მოგახსენოთ... სიკვდილი ბაცილებს! ძირს მიკრობები! გაუმარჯოს მედიცინას! ბატონო ექიმო, იცოცხლეთ, მხოლოდ ერთი სიყვარულის პატარა ბაცილით მეც როგორმე ამცერით... თორემ გვიანდა იქნება, დრო მიდის და ვგონებ სხვა ფერი ბაცილები ბოლოს მომიღებენ, და დამიძახებენ: „ძირს“!.. (იჭინიან სჯამენ ექიმის სადღეგძელოს).

**ნიკო.** ბრავო! ვაშა, სოლომან!..

**ექიმი.** გმადლობთ, გმადლობთ!..

**სოლ.** (ასჯაჯახებს) აბა, ყმაწვილებო, მიირთვით, მიირთვით, მე დავებრდი, დავჩაჩანაკდი, ველარც ექიმი და ველარც მედიცინა ველარ მიშველის, მაგრამ თქვენ კი, ვინ იცის, დოხტური ხშირად დაგქირდებათ. ღმერთსა ვთხოვ,

რომ ექიმს იშვიათად მიჰმართოთ. ოხ, მაგრამ სჯამენ ბატონო ექიმო, ექიმებისთვის ეს ხელ საყრელი არ იქნება... აბა, ყმაწვილებო, ერთი ტკბილი მრავალყამიერო! (მდეჩიან ეჯენე წაიღებს თეფშებს. გზაში შეგხვდება თეფა, რომელსაც შემწვარი მიაქვს).

**ელენე.** (თეფას) სად მიეხირები, სადა? ჯერ სუფთა თეფშები უნდა...

**თეფა.** რა ვიცი, ლუკამ გამოგზავნა... (შეჯენ სამხარეუჯაში. მიაქვთ თეფშები, შერე შემწვარი).

**სოლ.** აბა ბატონო ექიმო, სამადლობელიც და მადლობელიც თქვენზეა...


**ექიმი.** მადლობას მოგახსენებთ, და მადლობელისა კი უკაცრავად, ვერ ვიტყვი... ისევ აი ყმაწვილებსა ვთხოვ ჩემს მაგივრათ... ნიკო დაიწყებს „მადლობელს“ და სხვები ზანს მისცემენ. (ეჯენ და ბიჭი მიაწითევენ შემწვარს).

**ი. გეღევანიშვილი.**

(შემდეგი იქნება)




**საადგომომ ვიზიტისა**



პირველი ვიზიტის შემდეგ.



მეხუთე ვიზიტის შემდეგ.



შეათე ვიზიტის შემდეგ.



მეთხუთმეტე ვიზიტის შემდეგ.